ოქმი:ო63. 6325133001
თარიღი:13/05/2025

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 11

ქ. სამტრედია. 8 მაისი, 2025 წელი.

2025 წლის 8 მაისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომა ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა

დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის 5 მაისის N63-63251253 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

3. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების თემის, სოფელ ვაზისუბნის მცხოვრებთა*** 2025 წლის 7 თებერვლის, კოლექტიური განცხადების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

4. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (**9 ხმით),** მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 25 აპრილის*** N:62-622511529 წერილობითი მომართვა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარში მცხოვრებთა განცხადებას. განმცხადებლები ითხოვენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარში მე-11 ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას ეწოდოს **გულივერ გაგუას ქუჩა.** საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ქუჩის სახელდება. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის №239 დადგენილებისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №19 დადგენილების მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს განკარგულების პროექტი და მიიღოს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარში მე-11 ქუჩის სახელდების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

(მომართვის N: 62-622511529, 25/04/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63251154-63, 25/04/2025 წ.)**

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

2. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 აპრილის*** N:62-622511828 წერილობითი მომართვა, სოფელ დიდი ჯიხაიშში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთან შემოვიდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მცხოვრებთა განცხადება, რომლითაც ითხოვენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ **დიდი ჯიხაიშში 28-ე ქუჩას შეეცვალოს** სახელი და მას **ეწოდოს ზოია ვაშაკიძის ქუჩა.** საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ქუჩის სახელდება. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის №239 დადგენილებისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №19 დადგენილების მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს განკარგულების პორექტი და მიიღოს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 28-ე ქუჩის სახელდების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

(მომართვის N: 62-622511828, 28/04/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:13-**

63251182-63, 28/04/2025 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

3. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების თემის, სოფელ ვაზისუბნის მცხოვრებთა*** 2025 წლის 7 თებერვლის, კოლექტიური განცხადება. განმცხადებლები ითხოვენ, **სოფელ ვაზისუბნის მე-6** უბანს ეწოდოს, სოფელ ტოლების მკვიდრის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, სამაჩაბლოში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ბრძოლაში დაღუპული მილიციის ვიცე პოლკოვნიკის, დიდებული პიროვნების, განათლებული და სამაგალითო ადამიანის, ტარიელ კოპალეიშვილის სახელი.

(განცხადების საკრებულოს რეგისტრაციის **N:19/63251203-63, 30/04/2025 წ.)**

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

4. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 7 მაისის*** N:62-622512786 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანება''-ს 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, დანართი N5-ით დამტკიცებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდას ერთი ერთეულით - მნე, (თანამდებობრივი სარგო 994 ლარის ოდენობით, ჰასპის პროგრამის დანერგვის შედეგად, ბაგა-ბაღებში აუცილებლობას წარმოადგენს მნეს დამატება). აღნიშნული ცვლილება არ იწვევს სუბსიდიის ზრდას. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივ ცვლილება. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა მცირდება 6,0 ათასი ლარით. შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 6,0 ათასი ლარით.

(მომართვის N: 62-622512786, 7/05/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის**N:12-6325127001-63, 7/05/2025 წ.)**

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

5. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 აპრილის*** N:62-6225118133 წერილობითი მომართვა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია წარმოადგენს ინფორმაციას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის **3 თვის შესრულების** მიმოხილვის შესახებ.

(მომართვის N:62-6225118133, 28/04/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-**

63251186-63, 28/04/2025 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

6. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 7 მაისის*** N:62-622512785 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

(მომართვის N: 62-622512785, 7/05/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63251272-63, 7/05/2025 წ.)**

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

7. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 29 აპრილის*** N:62-622511930 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29.04.2025 N63-6325119001 მომართვაზე პასუხს. სადაც საკრებულო ითხოვდა, მერის 2025 წლის 01 აპრილის N62-622509135 წერილით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველი საკითხის, ,,სოფელ **დიდ ჯიხაიშში მდებარე 60000.00 კვ.მ** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 34.02.63.096) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ'', უკეთ შესწავლას. გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი შეისწავლა შესაბამისმა სამსახურმა და რაიმე სახის შენიშვნა არ გაგვაჩნია.

(მომართვის N: 62-622511930, 29/04/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63251194-63, 29/04/2025 წ.)**

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

8. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 2 მაისის*** N62-622512247 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, მუნიციპალიტეტის მერის მოთხოვნას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს განკარგულების პროექტი და მიიღოს ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) **45.49 კვ.მ** ფართის **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში,** გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' საკრებულოს განკარგულება.

(მომართვის N62-622512247, 02/05/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის**N:12-63251222-63, 02/05/2025 წ.)**

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

9. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 25 აპრილის*** N:62-622511579 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027)

(მომართვის N:62-622511579, 25/04/2025 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63251155-63, 25/04/2025 წ.)**

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის, 2025 წლის 5 მაისის N63-63251253 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **აპარატის დებულების** დამტკიცების შესახებ,“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში განსახორციელებელ ცვლილებებს. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, ცვლილების შესაბამისად, გადავიდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე, რის შედეგადაც ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ,“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში უნდა განხორციელდეს ცვლილება. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდგი რედაქციით: ,,1. აპარატი შედგება პროფესიული საჯარო მოხელეების, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისგან.“ ასევე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, 2025 წლის 31 მარტის N ბ63 63250902 ბრძანების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის იურიდიულ საკითხებში, სამსახურებრივ ფუნქცია-მოვალეობებში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, უნდა მოხდეს დებულების მე-7 მუხლიდან ,,გ”ქვეპუნქტის ამოღება.

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი